

# "ნაციონალები" შერიგდნენ



ფინეთის დედაქალაქში გიგი უგურავა და მიხეილ სააკაშვილი შერიგდნენ. როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, “ნაციონალური მოძრაობა” და “ევროპული საქართველო” ერთი ოჯახია. ინფორმაციას “რუსთავი-2” ავრცელებს.

*„მნიშვნელოვანია, რომ „ევროპის სახარო პარტიის“ ყრილობაზე ვხვდებით, რადგან „ევროპის სახარო პარტიამ“ გადამწყვეტი როლი ითამაშა „ევროპული საქართველოს“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დაახლოებაში, საერთო პლატფორმის შექმნაში. გიგი უგურავას მადლობა ვუთხარი, მართლა ძალიან მაგარი პოზიციის გამოხატვისთვის, ახლა რაც გააკეთა გიგომ და სხვა დიდებმა, ეს არის ახალი პოლიტიკური კურტურის ბოლომდე დამკვიდრება საქართველოში. მათ ჰყავთ ძალიან ბევრი აქტივისტი, ჰყავთ ძალიან ბევრი გურნრფერი მომხრე და ყვედანი მივხვდით, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ ვართ ერთი ოჯახი, ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, ჩვენ გვაქვს ერთი სამიზნე, გვყავს ერთი მტერი და გვაქვს ჩვენი ქვეყანა გადასარჩენი. ახალი ერთობა იქმნება, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ეს ორი პარტია, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ჩვენი ურთიერთობებია,“- განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.*

ეს პირველი კომუნიკაცია ორი ოპოზიციური პარტიის დიდებს შორის მას შემდეგ, რაც “ევროპულმა საქართველომ” არჩევნების მეორე ტურში მხარდაჭერა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს გრიგორ ვაშაძეს გამოუცხადა. მიხეილ სააკაშვილსა და გიგი უგურავას შორის საუბრის მთავარი თემა სწორედ არჩევნები იყო.

“გრიგორ ვაშაძე უნდა გახდეს პრეზიდენტი და ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ იმისთვის, რომ რიგგარეშე პროპორციული არჩევნები ჩატარდეს ქვეყანაში, იმიტომ რომ რეალური ძალა აქვს პარლამენტს. დეოდიგარქიზაცია ქვეყნის ეხლა უნდა დაიწყოს საპრეზიდენტო არჩევნებით. შემდეგ უკვე რეალური ძალაუფლება უნდა განსაზღვროს ხარხმა, იმას უნდა მიანიჭოს, ვისაც ეს ეკუთვნის, ანუ იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ხარხი აირჩევს თავის მთავრობას,”- აღნიშნა გიგი უგუდავა.